



თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 84

„21“ აგვისტო 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის  
გამგებელზე პრემიის გაცემის შესახებ

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს/გამგეობის თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №58 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს - ალექსანდრე შათირიშვილს მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით მიეცეს პრემია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტის ოდენობით;
2. განკარგულების შესრულება უზრუნველყოს გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურმა;
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე *პაატა გიორგობიანი* პაატა გიორგობიანი

